დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების/მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის/ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება,ადმინისტრაციული წარმოების მითითებით)

შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი

მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის გაზრდა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
მიხეილ ტეფნაძე
წევრ(ებ)ი:

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თამარ მიდელაშვილი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☒ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**შპს ბაქსვუდის საერთასორისო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**205089526**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**თბილისი, წყნეთი**
იურიდიული მისამართი	**თბილისი, დოლიძის ქ. N2**
ფაქტობრივი მისამართი	**თბილისი, წყნეთი, რუსთაველის ქ. N52; თბილისი, ვაშლიჯვრის დასახლება, მარშალ გელოვანის N1**
საფოსტო ინდექსი	**0181**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://buckswood.ge//**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**info@bukswood.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**577992993**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 8 23 0000981037, 10.08.2023 წ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	16.08.2023 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)*

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

..... თ. მიღელაშვილი

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება* პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

*„ზოგადი განათლების შესახებ“*საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ახალი ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ვაშლიჯვრის დასახლება, მარშალ გელოვანის N1

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ორ მისამართზე 1) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, რუსთაველის ქუჩა 52-ში (შემდეგში წყნეთის მისამართი) და 2) ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, მარშალ გელოვანის N1-ში (შემდეგში გელოვანის მისამართი). სკოლა წყნეთის მისამართზე წლების განმავლობაში ახორციელებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ხოლო გელოვანის მისამართზე გეგმავს დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. ექსპერტთა ვიზიტისას გელოვანის მისამართზე მიმდინარეობდა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2023 წლის N4673/01 წერილი, მასზე თანდართული შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება ფართისა თუ საგანმანათლებლო ინვენტარის ფლობა. სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
960	748

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☒ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის დროს)

მოსწავლეთა რაოდენობა: **1230**	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება ◊ და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		.....
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.6.1.2.	სკოლის მართვაში გამოიყენება	მნიშვნელოვანია, სკოლამ უზრუნველყოს მის მიერ

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

	თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.	შემუშავებული შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემასთან დაკავშირებით.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი 3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.	მნიშვნელოვანია სკოლამ გელოვანის N1-ში სასწავლო პროცესის დაწყებამდე უზრუნველყოს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მონტაჟის დასრულება.
ინდიკატორი 3.4.1.4.	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.	მნიშვნელოვანია გელოვანის N1-ში სველი წერტილების კეთილმოწყობის სამუშაოები დასრულდეს სასწავლო პროცესის დასრულებამდე. ელ. ენერგიისა და წყალზე აბონენტად ნაცვლად შპს საქართველოს განათლების ჯგუფისა დარეგისტრირებული იყოს შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი.
ინდიკატორი 3.5.1.5.	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები.	მნიშვნელოვანია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ინოვაციების ლაბორატორიებისთვის გამოყოფილ სივრცეები სწავლა-სწავლების პროცესამდე აღიჭურვოს წარმოდგენილი ხელშეკრულებისა და სასაქონლო ზედნადებების შესაბამისი ინვენტარით.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)* *<u>ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე</u>*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ სრულად გაიზიარა დასკვნის პროექტში ასახული გარემოებები, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა (შინაგანაწესი, თავი III), რომელიც მოიცავს შემდეგ ერთეულებს: დამფუძნებელთა საბჭო, დირექტორთა საბჭო, გენერალური დირექტორი, აკადემიური დირექტორი (აკადემიურ საქმეთა მენეჯერი, ხარისხის მონიტორინგისა და განვითარების მენეჯერი, საგნობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელი, დაწყებითი განათლების პროგრამის კოორდინატორი წყნეთში, დაწყებითი განათლების პროგრამის კოორდინატორი გელოვანზე, სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელი წყნეთში, სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელი გელოვანზე), ადმინისტრაციული გუნდი (ფინანსური სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური, იურისტი, კომუნიკაციების კოორდინატორი), ტექნიკური დირექტორი (სამედიცინო სამსახური, ტრანსპორტის სამსახური, ტექნიკური სამსახური, უსაფრთხოების სამსახური, კვების სამსახური, IT სამსახური). სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში მკაფიოდაა განსაზღვრულია სკოლის დირექციის, აკადემიური საბჭოს, საგნობრივი დეპარტამენტების, სკოლის ადმინისტრაციის და სხვა თანამშრომელთა ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისათვის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია ჰაუსების სისტემა, დაწყებითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საფეხურისა და ლოჯისტიკის კოორდინატორების, კომუნიკაციების კოორდინატორისა და იურისტის და სხვა ფუნქცია - მოვალეობები.მკაფიოდაა გაწერილი აკადემიური ხარისხის მონიტორინგის მენეჯერის საქმიანობის განმსაზღვრელი საკითხები (თავი III, მუხლი 17.24) და სხვა. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სტრუქტურული ერთეულის და დასაქმებულების რეგულაციები და წესები, სტრუქტურული ერთეულების/პირების საქმიანობის პერიოდული მონიტორინგი ხელს უწყობს მიზნობრივი ამოცანების განსაზღვრას და ზრდის თანამშრომელთა პასუხისმგებლობას და სტრატეგიულად განსაზღვრული მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სკოლის კორპორატიული სახელმძღვანელო.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ შემუშავებული შემდეგი დოკუმენტაციის მიხედვით: პერსონალის მართვის ზოგადი პოლიტიკით (ბრძანება (N22-23/006 - 08/08/2022) განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის მიზნები, პრინციპები და ამოცანები, ახალი საშტატო ერთეულების განსაზღვრის საკითხები, პერსონალის სამსახურში მიღების წესი და პროცედურები, თანამშრომელთა პროფესიული განვითარებაზე ზრუნვის პოლიტიკა; სკოლის შინაგანაწესით (ბაქსვუდის კონსტიტუცია) განსაზღვრულია აკადემიური საქმიანობის ძირითადი პრინციპები, ბაქსვუდის მასწავლებლის კოდექსი (თავი V, მუხლი 24), ადმინისტრაციული თანამშრომლობის კოდექსი (თავი VI); პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით - ,,თანამშრომლის კორპორატიული სახელმძღვანელო“ განსაზღვრულია სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, დამატებითი გამოსასვლელი დღეები, კორპორატიული ეთიკის კოდექსი, შრომის პირობების დაცვის წესი და სხვა. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახეები და ა.შ. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკა (ბრძანება N22-23/006 (08/08/2022), რომლის მიხედვით განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პრინციპები, ამოცანები, პერსონალის საჭიროებების გამოვლენის ფორმები (ანკეტირება, შეფასება), ასევე ახალი საშტატო ერთეულების საჭიროების განსაზღვრის საკითხები. დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრევენციული სისტემის არსებობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში. სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით ხდება საჭიროებებზე დაფუძნებული ინტერვენციების დაგეგმვა და რეალიზება. ამ მიზნით, საგაკვეთილო ცხრილის აწყობისას გათვალისწინებულია საგნის მასწავლებლის სკოლაში არ ყოფნის შემთხვევაში, მისი იმავე საგნის ან საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლით ჩანაცვლების შესაძლებლობა. სხვა სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პირები იცნობენ ერთმანეთის ფუნქცია-მოვალეობებს და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საქმიანობის შეთავსება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა შერჩევის წესი (ბრძანება N 22-23/006) რომლის პრინციპებია: ობიექტურობა, გამჭვირვალობა, საჯაროობა. შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა (თავი 6, მუხლი 29) და პედაგოგთა (თავი 5, მუხლი 25) ღია კონკურსით სკოლაში მიღების წესი. კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანტური ადგილის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით, კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსის ეტაპები. განაცხადი ქვეყნდება მასწავლებლის ვაკანსიის ვებ გვერდზე. თანამშრომელთა მიღება ხდება დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით (წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით). საკონკურსო მასალების გაცნობით (საკონკურსო სხდომის ოქმებით) დგინდება, რომ გამჭვირვალეა ვაკანტურ ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი. გარდა ამისა, სკოლა საჭირო და კვალიფიციური კადრის მოზიდვის მიზნით თანამშრომლობს იმ უნივერსიტეტებთან, რომლებიც ახორციელებენ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებს. სკოლას ახალი მისამართისთვის (გელოვანის მისამართი) გამოცხადებული აქვს კონკურსი ექიმი, უსაფრთხოების თანამშრომლის, დამლაგებლისა და IT სპეციალისტის ვაკანტურ პოზიციაზე. სკოლის მიერ შერჩეულ ახალ 11 თანამშრომელს ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას დაწესებულებაში არ ჰქონდათ წარმოდგენილი ცნობები ნასამართლეობის, სქესობრივი დანაშაულისა და უფლები ჩამორთმების შესახებ. დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2023 წლის N4673/01 წერილი, მასზე თანდართული შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც დასტურდება აღნიშნული 11 თანამშრომლის მიერ დასახელებული ცნობების წარმოდგენა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სკოლაში დასაქმებულთა პირადი საქმეების გადამოწმებით დგინდება, რომ დასაქმებულთა კვალიფიკაცია შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებსა და სკოლაში დაკავებულ თანამდებობას. სულ დასაქმებულია 190-მდე ადამიანი. აქედან, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საგნების სწავლებისათვის 80-მდე მასწავლებელი. საშტატოს განრიგი ცალ-ცალკეა შემუშავეული წყნეთისა და გელოვანის მისამართებისთვის. მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შეესაბამისად. განსაზღვრულია შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისში მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი (ბრძანება N 21-22/006). სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს და მოქმედ კანონმდებლობას. შრომითი ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპებს. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ბრიტანეთისა და ესტონეთის წამყვან სკოლებთან ხანგრძლივი თანამშრომლობით ჩამოყალიბდა სკოლის მართვის მოქნილი და ეფექტური მოდელი, რომელიც დაფუძნებულია ძლიერ საშუალო რგოლის მენეჯმენტზე (დეპარტამენტის და პროგრამების ხელმძღვანელები), მართვის და გადაწყვეტილების მიღების ჰორიზონტალურ მოდელზე და მუდმივ თვითშეფასებასა და რეფლექსიაზე. პროცესის ადმინისტრირების ამსახველი დოკუმენტაციის მიხედვით, პედაგოგები ერთობლივად განიხილავენ მნიშვნელოვან საკითხებს და გამოწვევებს. დეპარტამენტების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს, თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში და ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს, კომპლექსურ დავალებებს და აქტივობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას შემუშავებული აქვს როგორც მოსწავლეების, ისე პერსონალის წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პოლიტიკა. კერძოდ, საჯარო შექება, მადლობის გამოცხადება, პროფესიული განვითარების პროგრამის დაფინანსება, საერთაშორისო ტურებში ჩართვა, დაჯილდოება და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- საშტატო განრიგი;
- დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- საკონკურსო პირობების ბრძანებები;
- კონკურსის ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- ხარისხის მონიტორინგისა და განვითარების მენეჯერის ანგარიში;
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი 2023 წლის N4673/01 წერილი და მასზე თანდართული შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში პერსონალის საქმიანობის შეფასებას ემსახურება ხარისხის მონიტორინგისა და განვითარების მენეჯერი და რვა საგნობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი. სკოლას შემუშავებული აქვს გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების ფორმები, მასწავლებლის სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები და ა.შ. გარდა ამისა, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა პერსონალის შეფასებისას აქტიურად იყენებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვების შედეგებს, მოსწავლეთა, მშობელთა, თანამშრომელთა უკუკავშირებს და დეპარტამენტების ხელმძღვანელების ანგარიშებს (გუნდის წევრთა პროფესიული საჭიროებათა შესახებ). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში პერსონალის პროფესიულ განვითარება ხორციელდება გამოვლენილ საჭიროებების გათვალისწინებით. დოკუმენტით ,,პერსონალის მართვის ზოგადი პოლიტიკა“ (მუხლი 5), განსაზღვრულია თანამშრომლის პროფესიული განვითარების სისტემა, რაც გულისხმობს სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების ამაღლების გზით უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. ხარისხის მონიტორინგისა და განვითარების მენეჯერის განმარტებით, გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე სასწავლო წლის დასაწყისში ტარდება დაგეგმილი და დამატებითი ტრენინგები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სემინარები, სამუშაო შეხვედრები. თანამშრომელთათვის შეთავაზებულია ინგლისური ენის სპეციალური კურსი და სხვა. სკოლა საგნობრივი დეპარტამენტების არსებობით ხელს უწყობს პედაგოგებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაში, საჭიროებების დადგენასა და გადაჭრაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. კერძოდ, სკოლის შინაგანაწესის მე-15 მუხლით განსაზღვრულია საგნობრივი დეპარტამენტების ფუნქციები, რომელიც მოიცავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებაზე უწყვეტ ზრუნვას (ტრენინგებს, სამუშო შეხვედრებს, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას, რეკომენდაციების შემუშავებას, გამოცდილების გაზიარებას, საკონსულტაციო შეხვედრებს და სხვა). სკოლას ასევე, გაფორმებული აქვს მემორანდუმები ისეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ქნიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა მხარდამჭერ პროგრამებს. პროფესიული განვითარების დამადასტურებელი სერტიფიკატები მოთავსებულია მასწავლებელთა პირად საქმეებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის საკადრო პოლიტიკის დოკუმენტით (ადამიანური რესურსების მართვის ზოგადი დებულება) დარეგულირებულია თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია. კერძოდ, განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების ახალი წევრის ადაპტაციის პროცესი (დაწესებულებასთან ინტეგრირების სპეციალური პროგრამის ფარგლებში გუნდის ახალი წევრისთვის დაგეგმილია საორიენტაციო ტრენინგი); განსაზღვრულია დილის საორგანიზაციო შეხვედრები; დაგეგმილია დეპარტამენტების სამუშაო შეხვედრები; განსაზღვრულია აკადემიური მენეჯმენტის საბჭოს სხდომები; დაგეგმილია ერთობლივი ტრენინგები; დაგეგმილია არაფორმალური/სოციალური აქტივობები (მასწავლებლის საერთაშორისო დღის ღონისძიება, საახალწლო წვეულება და სხვა). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესსა და ხელშეკრულებებში. სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სამართლებრივი აქტით. გარდა ამისა, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ზრუნავს პედაგოგთა სტატუსის ამაღლების ხელშეწყობაზე და მხარს უჭერს განვითარებასთან დაკავშირებულ მასწავლებლების შემოთავაზებულ ინიციატივებს, როგორც სკოლის შიგნით გასახორციელებელ აქტივობებში, ასევე სკოლის გარეთ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის დებულება.
- საგნობრივი დეპარტამენტების ანგარიშები;
- გაფომრებული მემორნადუმები;
- მასწავლებლების პირადი საქმეები;
- სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი;
- ხარისხის მონიტორინგისა და განვითარების მენეჯერის ანგარიში;
- ადამიანური რესურსების მართისა და განვითარებასთან დაკავშირებული მასალები/აქტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐არ შეესაბამება

3.3 პროცესის მართვა

3.3.1 სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მიმდინარე სწავლა-სწავლების და მისი დამხარე პროცესების წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტებისა და მათი შესაბამისი სამოქმედო გეგმების შინაარსების მიხედვით, დაწესებულება საქმიანობისას ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს: დაგეგმა, განახორციელება, მონიტორინგი და შეაფასება. აღნიშნულის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ: სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმები, საგნობრივი დეპარტამენტების სამოქმედო გეგმები, ხარისხის მონიტორინგისა და განვითარების მენეჯერი ანგარიშები და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლაში შემუშავებული შინაგანაწესის, კორპორატიული სახელმძღვანელოს, პერსონალის მართვის ზოგადი პოლიტიკის, მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების, შრომის უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, ლაბორატორიებით სარგებლობისა და ექიმის დებულების შინაარსების მიხედვით სკოლას გააზრებული და გათვალისწინებული აქვს ზოგადსაგანმანათებლო დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითად და დამხმარე პროცესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში შემუშავებული შინაგანაწესის, კორპორატიული სახელმძღვანელოს, პერსონალის მართვის ზოგადი პოლიტიკის, მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმებით ხელი შეეწყობა სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ გასაჩივრების სისტემის ფუნქციონირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში შემუშავებული შინაგანაწესის, კორპორატიული სახელმძღვანელოს, პერსონალის მართვის ზოგადი პოლიტიკის, მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმის შინაარსებით უზრუნველყოფილი იქნება სასკოლო საზოგადოების წევრთა უფლებების დაცვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის კორპორატიული სახელმძღვანელო;
- პერსონალის მართვის ზოგადი პოლიტიკა;
- მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფებების დაცვის მექანიზმი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტების შინაარსის მაგ., შინანაგაწესი, კორპორატიული სახელმძღვანელოს, პერსონალის მართვის ზოგადი პოლიტიკის, მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმის, დასაქმებულთან და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშების მიხედვით სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებაზე სკოლაში მიმდინარე მამრთველობითი პროცესების შესახებ. აღნიშნულისათვის გამოიყენება სმს შეტყობინებები, ელ ფოსტები, პერსონალთან და მშობლებთან სისტემატური და საჭიროების შესაბამისი შეხვედრები. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულებში (განსაკუთრებით ადმინისტრაციულ ერთეულებში) დასაქმებულთა ფუნქციების მიხედვით ხელი ეწყობა ინფორმაციის მიღებასა და მასზე რეაგირებას ფუნქციებისა და დებულებების შესაბამისად, ან ახალი მექნიზმების შემუშავების საშუალებით. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ქმნის მოსწავლეების მშობლებისა და მასწავლებლებს შორის მიმოწერის შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში კოლეგიალურ ორგანოებად ჩამოყალიბებულია აკადემიური საბჭო და საგნობრივი დეპარტამენტები, რომლებშიც ერთიანდებიან სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული პირები. სკოლაში შემუშავებული შემუშავებული სხვდასხვა დოკუმენტაციის მიხედვით სასკოლო საზოგადოების წევრებს (სკოლის პერსონალი, მოსწავლეები, მოსწვალეების მშობლები/კანოიერ წარმომადგენლები) შესაძლებლობა აქვთ განხილვისა და შეფასების საგნად აქციონ აღნიშნული კოლეგიალური ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და შექმნან სარეკომენდაციო შინაარსები. მოსწვალეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაერთიანებებს წარმოდგენენე ე.წ. ჰაუსები და ბაქსვუდის განვითარების მოსწავლეთა საბჭო, რომლის ერთ-ერთ ფუნქციასაც სკოლაში მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება და ახალი ინიციტივების შემუშავება წარმოადგენს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- კორპორატიული სახელმძღვანელო;
- პერსონალის მართვის ზოგადი პოლიტიკა;
- მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფებების დაცვის მექანიზმი;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობები;
- შრომის უსაფრთხოების დებულება;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- ლაბორატორიებით სარგებლობის დებულება;
- ექიმის მუშაობის დებულება;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სკოლის მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთშეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შემუშავებული შინაგანაწესის, კორპორატიული სახელმძღვანელოს, პერსონალის მართვის ზოგადი პოლიტიკის, მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფებების დაცვის მექანიზმის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების, შრომის უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, ლაბორატორიებით სარგებლობისა და ექიმის დებულების შინაარსების მიხედვით საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების ორივე მისამართზე შესაძლებელი იქნება ფიზიკური უსაფრთხობის დაცვა. აღნიშნული დოკუმენტებით განსაზღრული პროცედურების განხორციელებაზე ზედამხედველობისთვის სკოლის დირექტორის ბრძანებით, ორივე მისამართისთვის განსაზღვრულია ცალ-ცალკე პირები. დაცვის თანამშრომელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შინაარსი შეესაბამება წარმოდგენილი დოკუმენტების მოთხოვნებს. სკოლას ჰყავს 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. წყნეთის მისამართისთვის სკოლას ჰყავს ექიმი და ექთანი, ხოლო გელოვანის მისამართისთვის ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას გამოცხადებული იყო კონკურსი. წყნეთის მისამართზე ყველა შენობა ნაგებობაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, განთავსებულია ცეცხლმაქრობები და დამონტაჟებულია სავეკუაციო გასასვლელების მანიშნებლები. სკოლის დირექტორის განმარტებით მოსწავლეები წელიწადში ორჯერ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ზედამხედველობითა და ჩართულობით გადიან საგანგებო სიტუაციებში სიმულაციას ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების დაცვით. ტექნიკური რეგულირების დოკუმენტის მოთხოვნათა შესაბამისად დამონტაჟებული სახანძრო სიგნალიზაცია, ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემები. დაწესებულებამ წარმოადგინა გელოვანის მისამართზე სახანძრო საუფრთხოების სისტემის დასამონტაჟებლად გაფორმებული ხელშეკრულება, სამედიცინო კაბინეტის ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მხარეთა შორის 2023 წლის 07 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება N L/AD/21-22/006-ის დამატებითი შეთანხმების მიხედვით, გელოვანის მისამართზე ექსპერტის დასკვნა შენობის ექსპლუატაციისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ უნდა მომზადდეს 2023 წლის 20 სექტემბრამდე. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას დაწესებულებას არ წარმოუდგენია დასკვნები სახანძრო უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2023 წლის N4673/01 წერილი, მასზე თანდართული შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტაცია. კერძოდ, შპს სელბის მიერ გაცემული დასკვნა, რომლის მიხედვითაც „ ... ქ. თბილისში, მარშალ არჩილ გელოვანის გამზირი № 1-ში (ს/კ 01.10.10.025.118), საგანმანათლებლო დაწესებულების შენობის ექსპლოატაციის შესაძლებლობაზე. ქ. თბილისში, მარშალ არჩილ გელოვანის გამზირი № 1-ში (ს/კ 01.10.10.025.118) მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულების შენობა ...“ „ ... ქ. თბილისი, მარშალ არჩილ გელოვანის გამზირზე (ს.კ. # 01.10.10.025.118) არსებული შენობა შეესაბამება უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (მათ შორის, სახანძრო უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის კუთხით) და მისი ექსპლოატაცია სასწავლო პროცესისათვის დასაშვებია. ...“. **ინდირკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლაში შემუშავებული შინაგანაწესის, კორპორატიული სახელმძღვანელოს, პერსონალის მართვის ზოგადი პოლიტიკის, მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფებების დაცვის მექანიზმის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების, შრომის უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, ლაბორატორიებით სარგებლობისა და ექიმის დებულების შინაარსების მიხედვით საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების ორივე მისამართზე შესაძლებელი იქნება ფიზიკური უსაფრთხობის დაცვა. აღნიშნული დოკუმენტებით განსაზღრული პროცედურების განხორციელებაზე ზედამხედველობისთვის სკოლის დირექტორის ბრძანებით, ორივე მისამართისთვის განსაზღვრულია ცალ-ცალკე პირები. დაცვის თანამშრომელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების შინაარსი შეესაბამება წარმოდგენილი დოკუმენტების მოთხოვნებს. წყნეთის მისამართზე დამონტაჟებულია ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა (51 ვიდეო კამერა). მხარეთა შორის 2023 წლის 07 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება N L/AD/21-22/006-ის დამატებითი შეთანხმების მიხედვით, გელოვანის მისამართზე ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მონტაჟი უნდა დასრულდეს 2023 წლის 31 აგვისტოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. წყნეთისა და გელოვანის მისამართზე არსებული ფართების დათვალიერების, გელოვანის ფართის მოწყობის ვიზუალური მასალის, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის კონცეფციური, დამატებითი საგანმანათლებლო და საღმზრდელო მომსახურების, ნაწილების, სკოლის შინაგანაწესის, პერსონალის მართვის ზოგადი პოლიტიკის, მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფებების დაცვის მექანიზმის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების, ბაქსვუდის ჰაუსების სამოქალაქო აღზრდის პროგრამისა და სკოლის ადმინისტრაციის მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი საკლასო/სასკოლო აქტივობების პროექტების შინაარსების მიხედვით სკოლაში ხელი ეწყობა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას სანიტარული და ჰიგიენური პირობების დასაცავად შემუშავებული აქვს დასუფთავებისა და დეზინფექციის წესი. გაფომრებულია ხელშეკრულებები დამლაგებლებთან. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის საშუალებების შესაძენად. დაწესებულება ორივე მისამართზე მიეწოდება წყალი და ელ. ენერგია. წყნეთის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მისამართზე აბონენტია შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი, ხოლო გელოვანის მისამართზე შპს საქართველოს განათლების ჯგუფი. ბუნებრივი აირი მიეწოდება წყნეთის მისამართს. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, გელოვანის მისამართზე მდგარი შენობა-ნაგებობა გათბება ელ. ენერგიის საშუალებით. დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას წარმოადგინა ელ. ენერგიასა და წყალზე აბონენტად მოთხოვნის დამადასტურებელი განცხადებები (შპს საქართველოს განათლების ჯგუფი) და ახალ აბონენტად მიერთების ღირებულების გადახდის დამადასტურებელი ქვითრები (შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი). გელოვანის მისამართზე დამლაგებლის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად გამოცხადებულია კონკურსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას შემუშავებული აქვს დასაქმებულთა პერსონალური დაცვის წესი. პეროსნალური ინფორმაციის გაცემა ხდება პირის თანხმობის შემთხვავაში, რაც უმეტესად დასტურდება ხელშეკრულების დანართებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალური ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. გამოცემულია სკოლის დირექტორის ბრძანება ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ. ელექტრონულ სისტემებს აქვთ პაროლოები, რომლებიც მხოლოდ კონკრეტულმა პირებმა იციან, ხოლო ბეჭდური მასალა, რომელიც გარკვეული ინფორმაციის მატარებელია (მაგ. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები) განთავსებულია ადამიანის დიდი ნაკადისგან მოშორებულ ადგილა მდგარ დახურულ კარადებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლის ადმინსიტრაციული პეროსონალი დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე შეისწავლის სკოლაში უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბების ხელშემწყობი დოკუმენტაციის მოთხოვნების დაცვის/დარღვევის მაჩვენებლებს და ხორციელდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. შრომის უსაფრთხოების სამსახურისა და შრომის უსაფრთხოების დებულების საფუძველზე, რომლის მიზანია იმ ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- კორპორატიული სახელმძღვანელო;
- პერსონალის მართვის ზოგადი პოლიტიკა;
- მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფებების დაცვის მექანიზმი;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობები;
- შრომის უსაფრთხოების დებულება;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; ლაბორატორიებით სარგებლობის დებულება;
- ექიმის მუშაობის დებულება;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- შრომის უსაფრთხოების მომსახურების შესახებ დადებული ხელშეკრულება წყნეთისა და გელოვანის მისამართებისთვის;
- სკოლის მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მხარეთა შორის 2023 წლის 07 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება N L/AD/21-22/006-ის დამატებითი შეთანხმება;
- ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის ფლობის დამადასტურებელი ხელშეკრულებები;
- წყნეთის მისამართზე მოხმარებული ელ. ენერგიის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- წყნეთის მისამართზე მოხმარებული ბუნებრივი აირის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- წყნეთის მისამართზე მოხმარებული წყლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გელოვანის მისამართზე ელ. ენერგიის აბონენტად მიერთების განცხადება და თანხის გადახდის დაადასტურებელი დოკუმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- გელოვანის მისამართზე წყალზე აბონენტად მიერთების განცხადება და თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დეტექციის მონტაჟის ხელშეკრულება;
- ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მონტაჟის ხელშეკრულება;
- ვენტილაციის მონტაჟის ხელშეკრულება;
- სკოლის ბიუჯეტი;
- სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- შიდა აზმოვითი ნახაზები;
- საკადასტორ რუკა;
- ვიზუალური დათვალიერება;
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი 2023 წლის N4673/01 წერილი და მასზე თანდართული შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.5.1 სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით მდებარეობს ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, რუსთაველის ქუჩა 52-ში (შემდეგში წყნეთის მისამართი). საკუთრებაში ფლობს ამავე მისამართზე არსებულს 7376.00 კვ.მ. (ს.კ. N01.02.01.140.044 – 2376.00 კვ.მ. და ს.კ. N01.20.01.140.056 – 5000.00 კვ.მ) მიწის ფართობსა და მასზე არსებულ 2558.5 კვ.მ. ფართის შენობა-ნაგებობებს, ხოლო შპს ბაქსვუდის საერთაშორისო დაწყებითი სკოლა - თბილისისგან იჯარით აქვს აღებული 6905.00 კვ.მ. მიწის ფართობი და მასზე არსებული 1658.65 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს.კ. N01.20.01.140.054), აღნიშნული იჯარა შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის“ 2019 წლის 12 ივლისის პარტნიორთა შეთანხმების ოქმის 3.1.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პუნქტის მიხედვით იჯარით სარგებლობაში გადასცემს არანაკლებ 50 წლის ვადით. ვიზუალური დათვალიერებით აღნიშნულ მიწის ფართობზე დგას 5 შენობა-ნაგებობა, საიდანაც ოთხში მიმდიარეობს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული დაწყებითი, საბაზო და საშაულო საფეხურის შესაბამისი სწავლა-სწავლების პროცესი, ხოლო მეოთხე გამოიყენება სათავსოდ. სკოლას სასწავლო მიზნებისათვის პროცესისათვის პირობითად პირველი შენობის (2558.5 კვ.მ.) პირველ სართულზე მოწყობილი აქვს ადმინისტრაციის სივრცე, მოსასვენებელი სივრცე (ე.წ. ლაუნჯი), ქიმიის ლაბორატორია, საკონფერენციო დარბაზი სცენით, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო და 2 სათავსო. მეორეზე - ტექნიკური დირექტორის, შეხვედრებისა და 10 საკლასო ოთახი, სველი წერტილები გოგონების, ვაჟებისა და თანამშრომლებისათვის. მესამეზე - გენერალური დირექტორის, აკადემიური დირექტორის, ექიმისა და 10 საკლასო ოთახი, სველი წერტილი გოგონებისთვის. მეოთხეზე - ადმინისტრაციის, ინოვაციების ლაბორატორიის, ჰაუსმასტერესების, სათავსო და 10 საკლასო ოთახი, სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის. მეორე შენობა ოთხსართულიანია (1658.65 კვ.მ.), რომლის პირველ სართულზე მოწყობილია სპორტული დარბაზი, გასახდელები, სპორტის გაკვეთილის ოთახი. მეორე სართულზე სასადილო, მესამე სართულზე მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლის ოთახები, რომელიც გამოიყენება საზაფხულო სკოლის მოსწავლეებისათვის, ხოლო მეოთხე სართულზე გაუტიხრავი ერთიანი სივრცეა. მესამე შენობა სამსართულიანია (1700.00 კვ.მ.), რომელშიც მოწყობილია დაწყებითი განათლების კოორდინატორის, შეხვედრებისა და 20 საკლასო ოთახი. სველი წერტილები, სამასწავლებლო, ტერასა საერთო შეხვედრებისა და ღონისძიებებისთვის. დამონტაჟებულია ლიფტი. პირველ სართულზეა დაწყებითი საფეხურის კოორდინატორის ოთახი, სამასწავლებლო, 4 საკლასო ოთახი. მეორე და და მესამე სართულებზე კი 8-8 საკლასო ოთახი. მეოთხე შენობა ორსართულიანია (2599.00 კვ.მ.), რომელიც მოწყობილია სკოლამდელი აღზრდის პროგრამისათვის. იყენებენ სკოლის სასადილოს. აქვს ცალკე იზოლირებული შემოსასვლელი სკოლის ეზოში. მეხუთე შენობა ერთსართულიანია და გამოიყენება სათავსოდ. სკოლის მიწის ფართობზე მოწყობილია 2 სპორტული მოედანი, ცხენების საჯინიბო, გადახურული სივრცეები გაკვეთილებისთვის. აღნიშნულ მისამართზე საკუთრება და იჯარით აღებული ტეროტორია და შენობა-ნაგებობები მოქცეულია ღობით შემოსაზღვრულ ეზოში. აქტიური გადაადგილების ზონების მიწის ზედაპირი დაფარულია ცემენტის საფარიანი ბილიკებით. აღნიშნულ მისამართზე შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი გეგმავს საგანმანათლებლო მომსახურება გაუწიოს 960 მოსწავლეს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარისა და მასზე თანდართული საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (ს.კ. 01.10.10.025.118) მიხედვით, სურს ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელოს ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, მარშალ გელოვანის N1-ში არსებულ 5708.00 კვ.მ-ის მიწის ფართობზე მდგარ 4390.00 კვ.მ-ის შენობა-ნაგებობაში, რომელიც ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას წაროადგენდა ე.წ. თეთრ კარკასს, რომელშიც მიმდინარეობდა სამშენებლო და კოსმეტიკური მოსაპირკეთებელი სამუშაოები. ვიზუალური დათვალიერებისა და შენობის შიდა აზომვითი ნახაზის მიხედვით ნაგებობა ოთხსართულიანია, რომლის პირველ სართულზეც არის მიმღების სივრცე, სამასწავლებლო, დაცვის ოთახი, ექიმის კაბინეტი, კაფეტერია დამამხარე ოთახებითა და სივრცეებით, 4-4 სველი წერტილი გოგონებისა და ვაჟებისათვის, საიდანაც თითო ადაპტირებულია და თითო სველი წერტილი თანამშრომლებისათვის. მეორე სართულზეა ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ინოვაციების (ისტ) ლაბორატორია, 3 სასკოლო საკლასო და 4 სკოლამდელი აღზრდის ოთახი, 4-4 სველი წერტილი გოგონებისა და ვაჟებისათვის, საიდანაც თითო ადაპტირებულია. მესამე საზრთულზეა 4 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი გასახდელებითა და სპორტის მასწავლების ოთახით, 2-2 სველი წერტილი გოგონებისა და ვაჟებისათვის. მეოთხე სართულზეა 5 საკლასო ოთახი, 2-2 სველი წერტილი გოგონებისა და ვაჟებისათვის. ყველა სართულზეა გათვალისწინებული ოთახები დამხმარე და ტექნიკური პერსონალისთვის. შენობას აქვს კიბის ორი უჯრედი და ლიფტი. ეზოში მიმდინარეობდა ღია სპორტული მოედნის მოწყობა. მიწის ფართობი შემოღობილია. აღწერილი შენობა-ნაგებობა სამშენებლო სამუშაოების გამო არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში, ხოლო მიწის ფართობი, რომელზეც მიმდინარეობს განაშენიანება ეკუთვნის შპს საქართველოს განათლების ჯგუფს, რომელიც სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის მიხედვით შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის 80%-იანი წილის მფლობელია, ხოლო მშენებლობის დამკვეთი კი შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი. მხარეთა შორის 2023 წლის 07 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება N L/AD/21-22/006-ის დამატებითი შეთანხმების მიხედვით, გელოვანის მისამართზე 2023 წლის 20 აგვისტოს უნდა დასრულდეს სამასწავლებლოსა და უსაფრთხოების სამსახურის ოთახში კედლების შეღებვა, იატაკის დაგება და ვიტრაჟების მონტაჟი. 2023 წლის 30 აგვისტოს - სამედიცინო კაბინეტში კედლების შეღებვა, იატაკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაგება, კარის მონტაჟი და საჭირო აღჭურვილობის შეტანა. 2023 წლის 31 აგვისტოს - კიბის უჯრედსა და დერეფნების (საერთო) სივრცის მოწყობა და განათების სისტემის დამონტაჟება. 2023 წლის 07 სექტემბერს - ღია სპორტული მოედნის საფარის, ტრიბუნებისა და განათების მონტაჟი. 2023 წლის 10 სექტემბერს - სამზარეულო-სასადილო სივრცეებში კარებებისა და დანადგარების მონტაჟი. 2023 წლის 15 სექტემბერს - საკლასო ოათხების აიატაკის დაგება და კედლების შეღებვა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში იატაკის დაგება, კედლების შეღებვა, დანადგარების დამონტაჟება და ინვნტარის შეტანა. სველი წერტილების სამღებრო სამუშაოებისა და სანიტარული კვანძების კეთილმოწყობა. 2023 წლის 18 სექტემბერს - სტუმართა მისაღების სივრცეში (ე.წ. ლაუნჯი) იტაკის დაგება, კედლების შეღებვა, ვიტრაჟებისა და ელეტროობის მონტაჟი. 2023 წლის 20 სექტემბერს - ლიფტის კაბინის მონტაჟი და ჩართვა. ბიბლიოთეკასა და სამკითხველო სივრცეში იატაკის დაგება, სამღებრო სამუშაოების დასრულება, სამკითხველო სივრცის მოწყობა და წიგნადი ფონდის შეტანა. სკოლის ეზოში ფილების, დაგება, ბეტონის საფარისა და სათამაშო სივრცის მოწყობა. გარე პერიმეტრის ღობის მონტაჟი. 2023 წლის 22 სექტემბერს - სპორტული დარბაზისა და გადახდელების იატაკის საფარის დაგება და ინვენტარის შეტანა. აღნიშნულ მისამართზე, შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი გეგმავს საგანმანათლებლო მომსახურება გაუწიოს 270 მოსწავლეს. დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2023 წლის N4673/01 წერილი, მასზე თანდართული შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტაცია. კერძოდ, საჯარო რეესტრის 2023 წლის 08 სექტემბრის ამონაწერი, რომლის მიხედვითაც მესაკუთრე შპს საქართველოს განათლების ჯგუფის მოიჯარე შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისს, საიჯარო ხელშეკრულების შესაბამისად 6 წლის ვადით აქვს 9100.00 კვ.მ. მიწის ფართობის განკარგვის უფლება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების მიერ შემუშავებული ცალკეული დოკუმენტების (მაგ. შინაგანაწესი; სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; კორპორატიული სახელმძღვანელო; პერსონალის მართვის ზოგადი პოლიტიკა; მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფებების დაცვის მექანიზმის; ბაქსვუდის ჰაუსების სამოქალაქო აღზრდის პროგრამის; უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების; შრომის უსაფრთხოების დებულების; ლაბორატორიებით სარგებლობის დებულების; ბიბლიოთეკის დებულებების;), პერსონალსა და მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფომრებული ხელშეკრულებების, შიდა აზომვითი ნახაზებისა და ვიზუალური დათვალიერების მიხედვით სასწავლო მიზნებისათვის გათვალისიწნებული მიწის ფართობი და შენობა-ნაგებობები ხელმისწვდომი იქნება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტების შინაარსის, სკოლის მარავალწლიანი საგანმანათლებლო ისტორიის, სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების, მათი გამოცდილების გათვალისწინებისა და წყნეთის მისამართზე არსებული საგანამათლებლო ტერიტორიისა და ფართების ვიზუალური დათვალიერების მიხედვით, რომლებშიც უკვე მრავალი წელია მიმდინარეოს სწავლა-სწავლების პროცესი, შესაძლებელი იქნება დაწესებულების სხვადასხვა ქცევისა და წარმოდგენების მოსწავლეების საჭიროების დაკმაყოფილების ხელშეწყობა, როგორც ემოციური რეალიზების, ასევე ფიზიკური გადაადგილების მხრივ. აღნიშნულ მისამართზე ერთ შენობაშია სართულიდან სართულზე გადასაადგილებელი ლიფტი, ხოლო დანარჩენებში გამოიყენება კიბეებზე განსათავსებელი მოძრავი პანდუსები. მიუხედავად იმისა, რომ ეზო ტერასული ფორმისაა, თავისუფლად შეიძლება გადაადგილება კიბეებისა თუ ბილიკების გამოყენებით. სავარაუდოდ, სკოლის ხანგრძლივ გამოცდილებაზე დაყრდნობითაა შემუშავებული გელოვანის გამზირზე მდგარი შენობა-ნაგებობის პროექტი, რომელშიც განთავებულია ლიფტის უჯრედი და სამუშაოების დასრულების შემდეგ შესაძლებელი იქნება ინკლუზიური გარემოს ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. **სტანდარტი დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტების, პერსონალსა და მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსები სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებლობას აძლევს ორივე მისამართზე შესაძლებლობას აძლევს, საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების დაცვით შეძლონ თავშეყრა, სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება ან სკოლის პეროსნალის მიერ სკოლის ტერიტორიაზე დაგეგმილ აქტივობებში ჩართვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით (სასკოლო საათობრივი ბადე) განსაზღვრული დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროცესისათვის წყნეთის მისამართზე დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულებას აქვს შესაბამისი რესურსი (საკლასო ოთახები, საკლასო მოსაწყობი მერხები, სკამები და სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინვენტარი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, ინოვაციების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზები, ღია სპორტული მოედნები და სხვა.). სკოლას აქვს ორივე მისამართის საგანმანათლებლო პროცესის შესაბამისი საბიბლიოთეკო და კომპიუტერული ტექნოლოგიების რესურსი. გელოვანის მისამართზე განსაზღვრული საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისათვის, დოკუმენტურად და ვიზუალურად დასტურდება მოსწავლეთა სასურველი რაოდენობის შესაბამისი მერხების, სკამებისა და საკლასო ინვენტარი. გამოყოფილია ოთახი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის, თუმცა დაწესებულებას არ წარმოდუგენია აღნიშნული მისამართისთვის ლაბორატორიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მიმდინარეობდა 1151.80 კვ.მ. ფართობის სპორტული დარბაზის კეთილმოწყობა. დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2023 წლის N4673/01 წერილი, მასზე თანდართული შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტაცია. კერძოდ, შპს ნიუ ლაბთან 2023 წლის 29 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის ლაბორატორიების აღჭურვილობის შესყიდვის შესახებ. ამავე ხელშეკრულების მიხედვით საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს შეკვეთიდან ერთი კვირის ვადაში. წარმოდგენილია ღირებულების გადახდის ქვითრები. ასევე წარმოდგენილია 2023 წლის 04 სექტემბრის სასაქონლო ზედნადები 14 პერსონალური კომპიუტერის შესყიდვის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კორპორატიული სახელმძღვანელო;
- პერსონალის მართვის ზოგადი პოლიტიკა;
- მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენლის უფებების დაცვის მექანიზმი;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობები;
- შრომის უსაფრთხოების დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; ლაბორატორიებით სარგებლობის დებულება;
- ექიმის მუშაობის დებულება;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სკოლის მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ამონაწერერები სამეწრამეო რეესტრიდან;
- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
- შიდა აზმოვითი ნახაზები;
- საკადასტორ რუკა;
- ვიზუალური დათვალიერება;
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი 2023 წლის N4673/01 წერილი და მასზე თანდართული შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთშეფსება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით გასნსაზღვრული სასწავლო პროცესისასთვის, წყნეთის მისამართზე აქვს ინოვაციების (ისტ) ლაბორატორია და ყველა საკლასო ოთახი აღწურვილია კომპიუტერული ტექნიკით. გელოვანის მისამართზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას მიმდინარეობდა ინოვაციების (ისტ) ლაბორატორიის მოწყობის სამუშაოები. მხარეთა შორის 2023 წლის 07 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება N L/AD/21-22/006-ის დამატებითი შეთანხმების მიხედვით, გელოვანის მისამართზე 2023 წლის 20 სექტემბერს უნდა დასრულდეს ყველა საჭირო სივრცეში კომპიუტერების, პროექტორების და სხვა საჭირო ინვენტარის შეტანა და კეთილმოწყობა. დაწესებულებას ორივე მისამართზე განსახორციელებელი სწავლა-სწავლების პროცესისათვის აქვს 60-ზე მეტი კომპიუტერი, 20-ზე მეტი პროექტორი და სხვა ტექნოლოგიები. დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2023 წლის N4673/01 წერილი, მასზე თანდართული შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტაცია. კერძოდ, შპს ნიუ ლაბთან 2023 წლის 29 აგვისტოს გაფომრებული ხელშეკრულება ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის ლაბორატორიების აღჭურვილობის შესყიდვის შესახებ. ამავე ხელშეკრულების მიხედვით საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს შეკვეთიდან ერთი კვირის ვადაში. წარმოდგენილია ღირებულების გადახდის ქვითრები. ასევე წარმოდგენილია 2023 წლის 04 სექტემბრის სასაქონლო ზედნადები 14 პერსონალური კომპიუტერის შესყიდვის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. გამომდინარე იქიდან, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით დაწესებულება მნიშვნეოვან როლს ანიჭებს ტექნოლოგიების გამოყენებას მოსწავლეთა სწვალებისა და შეფასების პროცესში, მარეგულირებელი დოკუმენტების შინაარსით ნება დართულია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრის მიერ სკოლის საკუთრებაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენება საქართველოს კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დაწესებული რეგულაციების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დოკუმენტაცია;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კორპორატიული სახელმძღვანელო;
- პერსონალის მართვის ზოგადი პოლიტიკა;
- ვიზუალური დათვალიერება;
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი 2023 წლის N4673/01 წერილი და მასზე თანდართული შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტაცია.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში გამოცემული ან მომზადებული აქტების, შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვას, რეგისტრაციასა და ნუმერაციას. შექმნილია ბრძანებების, ოქმების, შემოსული და გასული კორესპონდენციების რეგისტრაციის ჟურნალები და სპეციალური საქაღალდეები. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დამოწმებულია დირექტორის მიერ. შემუშავებულია სპეციალური საქმიანი ბლანკები, რომლებზეც გამოსახულია სკოლის ლოგო, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები გაფორმებულია სატიტულო ფურცელზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის პერსონალი საქმიანი ურთიერთოერთობისთვის იყენებს თანამედროვე ელექტრონულ ტექნოლოგიებს (ელ. ფოსტა, სმს სისტემა). ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას დაწესესებულებას არ ჰქონდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისიტემა. დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2023 წლის N4673/01 წერილი, მასზე თანდართული შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტაცია. კერძოდ, ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესუსრსცენტრისთვის მიწერილი წერილი, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან შუამდგომლობის შესახებ, რათა მიეცეთ e-flow-ს გამოყენებით დოკუმენტბრუნვის წარმოება. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში - Eschool - სკოლის პროფილი ყველა ველი შევსებულია პროფილის წარმოების წესისა თუ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დამატებით გაცემული ინსტრუქციების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სხვადასხვა უწყებების მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია გასული კორესპონდენციების რეგისტრაციის ჟურნალისა და კორესპონდენციების მიხედით აქტიურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. გასული კორესპონდენციის გაცემის თარიღი კი შეესაბამება უწყების მიერ განსაზღვრულ ვადებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრაციის ჟურნალები;
- ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში - Eschool - სკოლის პროფილი;
- ელექტრონული ჟურნალის Schoolbook-ის მომსახეურების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება;
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი 2023 წლის N4673/01 წერილი და მასზე თანდართული შესაბამისობის გეგმა და დოკუმენტაცია.

3.6.3 სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციისთვის შექმნილი აქვს ვებ გვერდი https://buckswood.ge/ , რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში მიღების პროცედურების, რეგისტრაციის, საგანმანათლებლო მომსახურების ღირებულებების, სასწავლო პროცესის ხანგრძლივობის, საგანმანათლებლო მომსახურების მახასიათებლების, ბაქსვუდის შინაგანაწესის, ფინანსური ანგარიშგებისა და სამოქმედო გეგმემის შესრულების შესახებ. საკონტაქტო ინფორმაციად მითითეული სკოლის მხოლოდ ერთი მისამართი, ელ ფოსტა და ტელეფონის ნომერი. გარდა ვებ გვერდისა, სკოლას აქვს საკუთარი გვერდები სხვადასხვა სოციალურ ქსელში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის ვებ გვერდსა და სხვადასხვა სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდებზე დადებული ინფორმაცია შეესაბამება სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის, შინაგანაწესისა და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტაციის შინაარსს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციის სხვადასხვა არხებად მიიჩნევს დაინტერესებულ მხარესთან სატელეფონო კომუნიკაციას (მითითებულია ვებ გვერდზე), სკოლის ოფიციალურ ელ ფოსტას (მითითებულია ვებ გვერდზე), ელექტრონულ ჟურნალის (განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე). ინფორმაციას სკოლის სტრუქტურული ერთეულში დასაქმებულმა პირმა (მაგ., სკოლის სამდივნოს თანამშრომელი, კომუნიკაციის კოორდინატორი), რომელიც განსახილველად გადასცემს შესაბამის პერსონალს, განიხილება და იგეგმება საჭიროების შესაბამის აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის ვებ გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის ვებ გვერდის მენიუში განთავსებული ტექსტებითა და შინაგანაწესით, დაინტერესებული მხარე მიიღებს ინფორმაციას სკოლის მისიის (შინაგანაწესიდან), სტრუქტურა (შინაგანაწესიდან), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოთხოვნები (შინაგანაწესიდან), მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები (შინაგანაწესიდან), ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების შესახებ. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას, სკოლის ვებ გვერდზე არ იძებნებოდა ინფორმაცია სკოლის ხედვა და ღირებულებების (სკოლის ფილოსოფია) გასაჩივრების მექანიზმების, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებებისა, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი) შესახებ. 2. სკოლის პეროსნალი საქმიანი ურთიერთოერთობისთვის იყენებს თანამედროვე ელექტრონულ ტექნოლოგიებს (ელ. ფოსტა, სმს სისტემა). დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2023 წლის N4673/01 წერილი, მასზე თანდართული შესაბამისობის გეგმა. წერილის შინაარსისა და ვებ გვერდის დათვალიერების მიხედვით, სკოლამ განათავსა ხედვა და ღირებულებები, გასაჩივრების მექანიზმები, პროგრამების სახელწოდებები, პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ გვერდის ფლობის დოკუმენტაცია;
- სკოლის ვებ გვერდი www.buckswood.ge;
  სოციალურ ქსელებში სკოლის გვერდები https://www.facebook.com/buckswood.tbilisi ;
  https://instagram.com/buckswood_georgia
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი 2023 წლის N4673/01 წერილი და მასზე თანდართული შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფსასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტით შესაძლებელი იქნება 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნების შესაბამისი აქტივობების ფინანსური უზრუნველყოფა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის შინაგანაწესში გაწერილი გენერალური დირექტორის, აკადემიური დირექტორის, ფინანსური დირექტორის, მთავარი ბუღალტრისა და ფინანსური მენეჯერისა და ბუღალტრის სამსახურებრივი ფუნქციები ითვალისწინებს ბიჯეტის შედგენის, განკარგვის, პროცესის მონიტორინგისა და შედეგების შეფასების სამუშაოებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის 2023-2024 წლის ბიუჯეტი;
- სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

12.09.2023 წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....